	GEORGIAN 620 TBILISI CONTROL GEORGIAN 620 CLEARED TO TBILISI FLIGHT PLANNED ROUTE FL 240. JOIN N644 TETRO AT FL 240. GEORGIAN 620 CORRECT		TBILISI CONTROL GEORGIAN 620 GEORGIAN 620 REQUESTING CLEARANCE TO JOIN N644 AT TETRO CLEARED TO TBILISI VIA TETRO FLIGHT PLANNED ROUTE FL 240. TO ENTER CONTROLLED AIRSPACE FL 240 GEORGIAN 620
---	--	---	--

- მოძრაობის პრევალირებული პირობებიდან გამომდინარე, ნებართვა შეიძლება არ გაიცეს დაუყოვნებლივ.

	GEORGIAN 620 REMAIN OUTSIDE CONTROLLED AIRSPACE EXPECT CLEARANCE AT 55		REMAINING OUTSIDE GEORGIAN 620
---	---	---	---------------------------------------

3. იმ შემთხვევაში, როდესაც ფრენის მოთხოვნილი ეშელონი დაკავებულია, მეთვალყურე უნდა შესთავაზოს სხვა მისაღები ეშელონი.

	GEORGIAN 620 FL 240 NOT AVAILABLE DUE TRAFFIC. ALTERNATIVES ARE FL 220 OR FL 260. ADVISE.		GEORGIAN 620 REQUEST FL 240
			GEORGIAN 620 ACCEPT FL 220

მუხლი 49. საჰაერო ხომალდების გასვლა საჰაერო ტრასებიდან

სხ-ს, რომელიც გადის მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი საჰაერო სივრციდან, ჩვეულებრივ, მიეთითება გასვლის კონკრეტული წერტილი და ასევე მიეწოდება ეშელონირებისთვის საჭირო ყველა სხვა მითითებები.

	GEORGIAN 620 CLEARED TO LEAVE N644 VIA TETRO. MAINTAIN FL 230 WHILE IN CONTROLLED AIRSPACE		CLEARED TO LEAVE N644 VIA TETRO. MAINTAINING FL 230 WHILE IN CONTROLLED AIRSPACE GEORGIAN 620
--	---	---	--


მუხლი 50. საჰაერო ტრასების გადაკვეთა სხ-ების მიერ

1. სხ-მ, რომელიც ფრენას ახორციელებს სფწ-ით, საჰაერო ტრასის გადაკვეთის აუცილებლობისას, ნებართვის მისაღებად უნდა მიმართოს სმმ-ს შესაბამის ორგანოს.


	G-DCAB TBILISI CONTROL		TBILISI CONTROL G-DCAB
	4-AA IS CLEARED TO CROSS N644 AT TBS VOR FL 80		G-DCAB PA31 20 MILES NORTH OF TBS VOR FL 80 TBS VOR AT 33 REQUEST CLEARANCE TO CROSS AIRWAY N644 AT TBS VOR
	4-AA REPORT TBS VOR		CLEARED TO CROSS N644 AT TBS VOR FL 80 4-AA
			4-AA

მუხლი 51. ფრენები მარშრუტზე მოცდით

1. თუ სავალდებულოა სხ-ს მოცდა მარშრუტზე, მეთვალყურე იძლევა მითითებას შეყოვნებაზე და აცნობებს მოძრაობის გაგრძელების სავარაუდო დროს. გაურკვევლობის შემთხვევაში, სავალდებულოა ასევე შეყოვნების მიზეზების მითითება.




2. მარშრუტზე მოცდისას საჰაერო ხომალდი ჩვეულებრივ ახორციელებს ფრენას მოცდის მარცხენა ან მარჯვენა პროცედურის მიხედვით, რომელიც ეფუძნება სმმ-ს მარშრუტის მიმართულების ხაზს. ხანგრძლივი მოცდისას პილოტს შეუძლია მოითხოვოს ან მიიღოს მოცდის დაშორებულ პროცედურაზე ფრენის ნებართვა.




მუხლი 52. საჰაერო მოძრაობის მომსახურება (სმმ) მიმოხილვითი რადიოლოკატორით

1. მიმოხილვითი რადიოლოკატორის მეშვეობით სმმ-ს უზრუნველყოფის არეში გამოყენებული ფრაზეოლოგია ჩვეულებრივ წარმოადგენს წინამდებარე თავის წინა პუნქტებით დეტალურად მოცემული ფრაზეოლოგიის და მე-6 თავით მოცემული, მიმოხილვითი რადიოლოკატორით სმმ-ს უზრუნველყოფის ძირითადი ფრაზეოლოგიის შეთავსებას.
2. გაურკვევლობის შემთხვევაში, მეთვალყურე ჩვეულებრივ აცნობებს პილოტს, რომ საჰაერო ხომალდზე ხორციელდება რადიოლოკაციური კონტროლი.



მუხლი 53. ავტომატური დამოკიდებული დაკვირვება (ADS)

1. იმ შემთხვევაში, როდესაც ADS-მომსახურება უარესდება, პილოტს აღნიშნულზე შეიძლება ეცნობოს სამეტყველო კავშირით.



მუხლი 54. ფრენების მართვა ოკეანეების თავზე

1. მიუხედავად იმისა, რომ ოკეანის თავზე ფრენების მართვასთან დაკავშირებით გამოყენებული ფრაზეოლოგია ძირითადად იგივეა, რაც სახელმძღვანელოში მოცემული, უფრო ზუსტი მითითებების მისაღებად რეკომენდებულია შესაბამისი რეგიონული წესების გამოყენება.
2. ოკეანის თავზე ფრენების მართვა ჩვეულებრივ ხორციელდება მაღალი სიხშირის (HF) დიაპაზონში. ამგვარად, კავშირი „პილოტი-მეთვალყურე“, რომელიც წარმოებს მეტად მაღალი სიხშირის (VHF) არხებით „ჰაერი-მიწა“, ხშირად იცვლება კავშირით, რომელიც ხორციელდება რადისტის მეშვეობით ან „ჰაერი-მიწა“ კავშირის ოპერატორის მეშვეობით. შესაბამისად, ოკეანის თავზე მყოფი საჰაერო ხომალდის შეტყობინებას მეთვალყურეს გადასცემს „ჰაერი-მიწა“ კავშირის ოპერატორი და პასუხიც იგზავნება იგივენაირად. ოკეანის თავზე არსებულ საჰაერო სივრცეში ფრენის მართვასთან დაკავშირებით ინფორმაციის და მითითებების გაცვლისას პილოტებმა და მეთვალყურეებმა უნდა გაითვალისწინონ დაყოვნების ფაქტორი, რასაც ადგილი აქვს მესამე მხარის მეშვეობით კავშირის წარმართვისას.

თავი IX. ავარიული და სასწრაფო კავშირის წესები. წესები კავშირის მტყუნებისას

მუხლი 55. უბედურების და გადაუდებლობის მდგომარეობა

ა) უბედურება: მდგომარეობა, როდესაც არის სერიოზული და (ან) უშუალო საფრთხე და საჭიროა დაუყოვნებელი დახმარება;


ბ) გადაუდებლობა: მდგომარეობა, რომელიც შეეხება საჰაერო ხომალდის ან სხვა სატრანსპორტო საშუალების ან სხ-ზე ან მხედველობის არეში მყოფი რომელიმე პირის უსაფრთხოებას, მაგრამ რომელიც არ საჭიროებს დაუყოვნებელ დახმარებას.

1. შეტყობინების დასაწყისში წარმოთქმული სიტყვა „MAYDAY“ მიუთითებს, რომ ეს არის უბედურების შეტყობინება, ხოლო შეტყობინების დასაწყისში წარმოთქმული სიტყვა „PAN PAN“ მიუთითებს, რომ ეს არის სასწრაფო შეტყობინება. ვითარების შესაბამისად, უბედურების ან გადაუდებლობის მდგომარეობით გამოწვეული საწყისი გამოძახების დასაწყისში სიტყვები „MAYDAY“ ან „PAN PAN“ სასურველია წარმოითქვას სამჯერ.
2. უბედურების შეტყობინებას აქვს უპირატესობა ყველა სხვა შეტყობინებასთან მიმართებით, ხოლო გადაუდებელ შეტყობინებას უპირატესობა აქვს ყველა სხვა შეტყობინებასთან მიმართებით, გარდა უბედურებისა.
3. პილოტმა, რომელიც გადასცემს გადაუდებლობის ან უბედურების სიგნალებს, გამეორების თავიდან აცილების მიზნით, უნდა შეეცადოს ილაპარაკოს ნელა და გარკვევით.
4. პილოტმა უნდა გამოიყენოს ამ თავით გადმოცემული ფრაზოლოგიის წესები კონკრეტული საჭიროებისა და მის განკარგულებაში არსებული დროის შესაბამისად.
5. პილოტმა უნდა მოითხოვოს დახმარება ყოველთვის, როდესაც საეჭვოა ფრენის უსაფრთხოება. ამით შესაძლებელია უფრო სერიოზული საფრთხის წარმოქმნის აცილება.
6. უბედურების ან გადაუდებლობის სიგნალი ჩვეულებრივ უნდა გადაიცეს მოცემულ მომენტში გამოყენებულ სიხშირეზე. ავარიული კავშირი უნდა განხორციელდეს ამ სიხშირეზე, თუ შეუძლებელია უფრო არსებითი დახმარება სხვა სიხშირეზე გადასვლით. 121,5 მჰც სიხშირე გამოყოფილია საერთაშორისო საავიაციო საავარიო სიხშირედ, თუმცა ყველა სააერონავიაციო სადგური არ აწარმოებს ამ სიხშირის განუწყვეტელ მოსმენას. აღნიშნული მდგომარეობა არ გამორიცხავს კავშირის სხვა სიხშირეებით, მათ შორის, თუ ეს აუცილებელი ან სასურველია, მოძრავი საზღვაო საზღაპრის რადიოსატელეფონო სიხშირეებით სარგებლობას.
7. თუ უბედურების ან გადაუდებლობის მდგომარეობაში მყოფ საჰაერო ხომალდს არ პასუხობს გამოძახებული სახმელეთო სადგური, მაშინ პასუხს იძლევა ნებისმიერი სხვა სახმელეთო სადგური ან საჰაერო ხომალდი და უწყეს ნებისმიერ შესაძლო დახმარებას.
8. სადგური, რომელიც პასუხობს უბედურების ან გადაუდებლობის მდგომარეობაში მყოფ საჰაერო ხომალდს, ვალდებულია გადასცეს მხოლოდ ის ინფორმაცია, რჩევა ან მითითება, რომელიც დაეხმარება პილოტს. არაფრისმომცემმა რჩევებმა შეიძლება გამოიწვიოს პილოტის ყურადღების გაფანტვა მაშინ, როდესაც მას არ გააჩნია არც ერთი თავისუფალი წუთი.

9. სააერონავიგაციო სადგურებმა თავი უნდა შეიკავონ იმ სიხშირით სარგებლობისგან, რომელზეც ხორციელდება ავარიული ან გადაუდებელი გადაცემები, თუ ისინი უშუალოდ არ ახორციელებენ დახმარებას ან სანამ არ დამთავრდება ავარიული გადაცემები.
10. თუ უბედურების შეტყობინება გზაგადაჭრილი და შესაბამისად არ არის დამოწმებული მისი მიღება, მაშინ საჰაერო ხომალდმა, რომელმაც მიიღო უბედურების ეს შეტყობინება, თუ მას დრო და მდგომარეობა აძლევს ამის საშუალებას, უნდა დაადასტუროს იგი და შემდეგ გადასცეს რადიოკავშირის მეშვეობით.

მუხლი 56. შეტყობინება განსაცდელში მყოფი საჰაერო ხომალდის შესახებ

1. უბედურების შეტყობინება უნდა მოიცავდეს ქვემოთ მოყვანილი პუნქტებიდან რაც შეიძლება მეტს და, შემდგომ დაგვარად, შემდეგი თანამიმდევრობით:
 - ა) სადგურის დასახელება, რომელსაც ეგზავნება შეტყობინება;
 - ბ) საჰაერო ხომალდის ამოსაცნობი ინდექსი;
 - გ) უბედურების მდგომარეობის მახასიათებელი;
 - დ) საჰაერო ხომალდის მეთაურის გადაწყვეტილება;
 - ე) სხ-ს ადგილმდებარეობა, ფრენის ეშელონი და კურსი;
 - ვ) ნებისმიერი სხვა სასარგებლო ინფორმაცია.


		MAYDAY MAYDAY MAYDAY WALDEN TOWER 4L-ABC ENGINE ON FIRE MAKING FORCED LANDING 20 MILES SOUTH OF WALDEN. PASSING 3 000 FEET HEADING 360
4L-ABC WALDEN TOWER ROGER MAYDAY WIND AT WALDEN 350 DEGREES 10 KNOTS, QNH 1008	4L-ABC WALDEN TOWER ROGER MAYDAY CLEARED STRAIGHT-IN APPROACH RUNWAY 35 WIND 360 DEGREES 10 KNOTS QNH 1008, YOU ARE NUMBER ONE	MAYDAY MAYDAY MAYDAY WALDEN TOWER 4L-ABC ENGINE FAILED. WILL ATTEMPT TO LAND YOUR FIELD, 5 MILES SOUTH, 4 000 FEET HEADING 360
CLEARED STRAIGHT-IN APPROACH RUNWAY 35 QNH 1008 4L-ABC		

2. მოთხოვნების მიზანს არ წარმოადგენს ხელი შეუშალოს საჰაერო ხომალდს გამოიყენოს მის განკარგულებაში არსებული ყველა საშუალება, რათა მიიპყროს ყურადღება და აცნობოს საკუთარი მდგომარეობის შესახებ (მათ შორის, გამოიყენოს მმრლ-ის (SSR) შესაბამისი კოდი, 7700) ან აცნობოს რომელიმე სადგურს, რომელსაც გააჩნია საშუალებები განსაცდელში მყოფი საჰაერო ხომალდის დასახმარებლად. თუ გადამცემი სადგური თავად არ იმყოფება განსაცდელში, მაშინ ნებადართულია ამ მუხლის 1-ლი პუნქტით მითითებული ინფორმაციის სხვა თანამიმდევრობით გადაცემა, იმ პირობით, რომ ვითარება ზუსტად იქნება გადმოცემული.

- სადგური, რომელსაც გადაეცემა შეტყობინება, ჩვეულებრივ წარმოადგენს საჰაერო ხომალდთან კავშირზე მყოფ სადგურს ან სადგურს, რომლის პასუხისმგებლობის რაიონშიც ხორციელდება აღნიშნული საჰაერო ხომალდის ფრენა.


მუხლი 57. რადიოდუმილის რეჟიმის შემოღება უბედურების შეტყობინებისას

- განსაცდელში მყოფ საჰაერო ხომალდს ან ამ საჰაერო ხომალდის მმართველ სადგურს შეუძლია შემოიღოს რადიოდუმილის შუალედი აღებულ სიხშირეზე მომუშავე ყველა საჰაერო ხომალდის ან კონკრეტული სხ-თვის, რომელიც ხელს უშლის ავარიულ რადიოკავშირს. ეს საჰაერო ხომალდები დუმილს ინარჩუნებენ მანამ, სანამ არ მიიღებენ ცნობას ავარიული კავშირის დამთავრების შესახებ.




მუხლი 58. უბედურების მდგომარეობის და რადიოდუმილის რეჟიმის დამთავრება


- თუ სხ აღარ იმყოფება განსაცდელში, იგი იძლევა შეტყობინებას, რომელიც აუქმებს უბედურების მდგომარეობას.
- თუ ავარიული მდგომარეობის მმართველი სადგურისათვის ცნობილი ხდება, რომ სხ აღარ იმყოფება ავარიულ ვითარებაში, მაშინ იგი წყვეტს ავარიული რადიოკავშირს და აუქმებს დუმილის შუალედს.



მუხლი 59. სასწრაფო შეტყობინებები

- სხ-ს მიერ გაცემული სასწრაფო შეტყობინება, მდგომარეობისა მიხედვით, უნდა შეიცავდეს 56-ე მუხლის 1-ლი პუნქტით მითითებული ინფორმაციიდან, რაც შეიძლება მეტს. სიგნალი უნდა გადაიცეს იმ მომენტისათვის გამოყენებულ სიხშირეზე. ყველა სხვა სადგურმა, შეძლებისდაგვარად, არ უნდა დააბრკოლოს სასწრაფო შეტყობინების გადაცემა.



	4L-ABC WALDEN TOWER FLY HEADING 160	HEADING 160 4L-ABC
4L-BC WALDEN TOWER NUMBER 1 CLEARED STRAIGHT-IN APPROACH RUNWAY 17 WIND 180 DEGREES 10 KNOTS QNH 1008 AMBULANCE ALERTED	PANPAN, PANPAN, PANPAN WALDEN TOWER 4L-ABC 10 MILES NORTH AT 2 000 FEET. PASSENGER WITH SUSPECTED HEART ATTACK REQUEST PRIORITY LANDING	CLEARED STRAIGHT-IN APPROACH RUNWAY 17 QNH 1008 4L-BC
G-BBCC ROGER	PAN PAN, PAN PAN, PAN PAN WALDEN TOWER G-BBCC INTERCEPTED URGENCY CALL FROM GEO-620 PASSENGER WITH SUSPECTED HEART ATTACK REQUESTING PRIORITY LANDING WALDEN. HIS POSITION 10 MILES NORTH AT 2 000 FEET	(თუ GEO-620 არ ადასტურებს ამ შეტყობინების მიღებას, G-BBCC ახორციელებს მის რეტრანსლაციას).
4L-ABC WALDEN TOWER RUNWAY 35 WIND 340 DEGREES 10 KNOTS QNH 1008 NO TRAFFIC		

2. ზემოთ მოცემულ პირველ მაგალითში, საჰაერო ხომალდის ადგილმდებარეობის განსაზღვრაში დახმარების მიზნით, პილოტს შეიძლება დაესვას დამატებითი კითხვები.

მუხლი 60. ავარიული დაშვება

1. თუ სხ აცხადებს ავარიულ დაშვებას, მეთვალყურე ყველა შესაძლო ზომას უნდა მიმართოს სხვა სხ-ების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.
2. ავარიულ დაშვებაზე სხ-ების საერთო გაფრთხილების შემდეგ, აუცილებლობისას, უნდა გაიცეს კონკრეტული მითითებები.

	ATTENTION ALL AIRCRAFT IN THE VICINITY OF LU NDB, EMERGENCY DESCENT IN PROGRESS FROM FL 350 TO FL 100, LEAVE N644 TO THE NORTH IMMEDIATELY		GEORGIAN 620 POSITION LU NDB EMERGENCY DESCENT TO FL 100 DUE TO DECOMPRESSION
---	--	---	---

მუხლი 61. კავშირის მტყუნება სხ-ზე

1. თუ საბორტო სადგური გამოყოფილ სიხშირეზე ვერ ამყარებს კავშირს სააერნაოსნო სადგურთან, მაშინ უნდა შეეცადოს კავშირის დამყარებას აღნიშნული მარშრუტის სხვა შესაბამის სიხშირეზე. თუ ეს მცდელობაც წარუმატებელია, მაშინ სხ უნდა შეეცადოს კავშირის დამყარებას სხვა სხ-თან ან სხვა სააერნაოსნო სადგურებთან აღნიშნული მარშრუტის სხვა შესაბამის სიხშირეებზე.
2. თუ ამ მუხლის 1-ლი პუნქტით მითითებული მცდელობები უშედეგოა, მაშინ სხ გამოყოფილ სიხშირეზე (სიხშირეებზე) გადასცემს შეტყობინებას ორჯერ, რასაც წინ უსწრებს ფრაზა „TRANSMITTING BLIND“ და, აუცილებლობისას, მიუთითებს ადრესატს (ადრესატებს), ვისთვისაც ეს შეტყობინებაა განკუთვნილი.
3. თუ სხ ვერ აწარმოებს კავშირს მიმღების მტყუნების გამო, იგი შეტყობინებას გადასცემს გრაფიკით დადგენილ დროს ან გადასცემს ადგილმდებარეობის შეტყობინებას დადგენილ სიხშირეზე, რასაც წინ უსწრებს ფრაზა „TRANSMITTING BLIND DUE TO RECEIVER FAILURE“. სხ გადასცემს სასურველ შეტყობინებას, შემდეგ მთლიანად იმეორებს მას. ამ დროს სხ ასევე იძლევა მომდევნო გადაცემის სავარაუდო დროს.
4. საჰაერო ხომალდი, რომელიც უზრუნველყოფილია სამეთვალყურეო ან საკონსულტაციო მომსახურებით, ინფორმაციას გადასცემს საჰაერო ხომალდის მეთაურის გადაწყვეტილების შესახებ ფრენის გაგრძელების თაობაზე.
5. თუ სხ ვერ ამყარებს კავშირს სახომალდე აღჭურვილობის მტყუნების გამო, იგი, თუ არის სპეციალური აღჭურვილობა, კავშირის მტყუნების მისათითებლად ირჩევს მმრლ-ის შესაბამის კოდს (7600).
6. თუ სააერნაოსნო სადგური ვერ ამყარებს კავშირს სხ-თან იმ სიხშირეებზე, რომლის მოსმენასაც სავარაუდოდ აწარმოებს სხ, მაშინ სააერნაოსნო სადგური:
 - ა) სთხოვს სხვა სააერნაოსნო სადგურს აღნიშნული სხ-ს გამოძახებას და აუცილებლობისას, შეტყობინების რეტრანსლირებას;
 - ბ) სთხოვს ამ მარშრუტზე მყოფ სხ-ებს კავშირის დამყარებას აღნიშნულ სხ-თან და აუცილებლობისას, შეტყობინების რეტრანსლირებას.
7. თუ ამ მუხლის მე-6 პუნქტში მითითებული მცდელობა წარუმატებელია, მაშინ სააერნაოსნო სადგურმა უნდა აწარმოოს «ბრმად» გადაცემა (სამეთვალყურეო ნებართვის შემცველი შეტყობინების გარდა), იმ სიხშირეზე (სიხშირეებზე), რომლის მოსმენასაც სავარაუდოდ აწარმოებს სხ.
8. სამეთვალყურეო ნებართვები საჰაერო ხომალდს „ბრმად“ არ გადაეცემა, გარდა შეტყობინების შემდგენის განსაკუთრებული თხოვნისა.

თავი X. საავარიო რადიოსატელეფონო კავშირი

მუხლი 62. ზოგადი დებულებები

1. უბედურების და გადაუდებლობის მდგომარეობის შესახებ შეტყობინების დასაწყისში შესაბამისად გამოიყენება უბედურების რადიოსატელეფონო სიგნალი MAYDAY ან გადაუდებლობის რადიოსატელეფონო სიგნალი PAN PAN.
2. საავარიო და სასწრაფო გადაცემების ყოველი მომდევნო შეტყობინების დასაწყისში ნებადართულია უბედურების რადიოსატელეფონო სიგნალის და გადაუდებლობის რადიოსატელეფონო სიგნალის გამოყენება.
3. უბედურების ან გადაუდებლობის მდგომარეობაში მყოფი საჰაერო ხომალდის შესახებ შეტყობინების შემდგ უნდა პირმა მაქსიმალურად უნდა შეამციროს ამ შეტყობინებების რიცხვი, მოცულობა და შინაარსი, რამდენადაც ამას მოითხოვს ვითარება.
4. იმ შემთხვევაში, როდესაც სადგური არ ადასტურებს საჰაერო ხომალდის მიერ მისი მისამართით გადაცემულ უბედურების ან გადაუდებლობის სიგნალს, მაშინ ამ საჰაერო ხომალდს სხვა სადგურები აღმოუჩენენ დახმარებას.

შენიშვნა: "სხვა სადგურებში" მოიაზრება ნებისმიერი სადგური, რომელმაც მიიღო უბედურების ან გადაუდებლობის შეტყობინება და რომლისთვისაც ცნობილი გახდა, რომ შეტყობინება არ მიუღია ადრესატ სადგურს.

5. საავარიო და სასწრაფო გადაცემები ჩვეულებრივ წარმოებს იმ სიხშირეზე, რომელზეც დაიწყო, ვიდრე არ ჩაითვლება, რომ უფრო ქმედითი დახმარების აღმოჩენა შესაძლებელია ამ შეტყობინებების სხვა სიხშირეზე გადაცემით.

შენიშვნა: გამოიყენება 121.5 მჰც ან სათანადო მეტად მაღალი (VHF) ან მაღალი (HF) სიხშირეები, იმის მიხედვით, თუ რომელია უფრო შესაფერისი.

6. უბედურობის ან გადაუდებლობის შეტყობინებების რადიოსატელეფონო გადაცემები, როგორც წესი, ხორციელდება ნელა და მკაფიოდ და შეტყობინების ტექსტის ჩაწერის გაიოლების მიზნით, ყოველი სიტყვა წარმოითქმის გარკვევით.

მუხლი 63. განსაცდელში მყოფი საჰაერო ხომალდის მოქმედებები

1. გარდა იმისა, რომ უბედურების შეტყობინებას წინ უსწრებს განსაცდელის რადიოსატელეფონო სიგნალი MAYDAY, რომელიც უმჯობესია გამოვრდეს სამჯერ, განსაცდელში მყოფი სხ-თვის გადასაცემი უბედურების შეტყობინება უნდა:

ა) გადაიცეს მოცემულ დროს გამოყენებული ორმხრივი კავშირის „ჰაერი-მიწა“ სიხშირეზე;

ბ) მოიცავდეს ქვემოთ მოყვანილი პუნქტებიდან რაც შეიძლება მეტს, რომელიც წარმოითქმის გარკვევით და, შემდგომში დაგვარად, შემდეგი თანამიმდევრობით:

ბ.ა) სადგურის დასახელება, რომელსაც ეგზავნება შეტყობინება (თუ დრო და ვითარება იძლევა ამის საშუალებას);

ბ.ბ) საჰაერო ხომალდის ამოსაცნობი ინდექსი;

ბ.გ) უბედურების მდგომარეობის სახე;

ბ.დ) საჰაერო ხომალდის მეთაურის გადაწყვეტილება;

ბ.ე) სხ-ს მიმდინარე ადგილმდებარეობა, ფრენის დონე (ანუ ფრენის ეშელონი, აბსოლუტური სიმაღლე და ა.შ., შესაბამისობაზე დამოკიდებულებით) და კურსი.

შენიშვნა 1: ზემოთ მოყვანილ მოთხოვნილ შეიძლება დაემატოს შემდეგი ღონისძიებები, რათა:

ა) განსაცდელში მყოფ საჰაერო ხომალდის უბედურების შეტყობინება გადაიცეს 121.5 მჰც ავარიულ სიხშირეზე ან მოძრავი საავიაციო სამსახურის სხვა სიხშირეზე, თუ ეს აუცილებელი ან სასურველია. არა ყველა სააერონავიგაციო სადგური ახორციელებს საავარიო სიხშირის უწყვეტ მოსმენას;

ბ) განსაცდელში მყოფი საჰაერო ხომალდის უბედურების შეტყობინება გადაიცეს მაუწყებლობის ფორმატში, თუ დროისა და ვითარების გათვალისწინებით მსგავსი მოქმედება უფრო მიზანშეწონილია;

გ) საჰაერო ხომალდმა გადაცემები აწარმოოს მოძრავი საზღვაო სამსახურის რადიოსატელეფონო გამოძახების სიხშირეზე;

დ) საჰაერო ხომალდმა გამოიყენოს მის განკარგულებაში არსებული ნებისმიერი საშუალება ყურადღების მოსაპყრობად და იმ პირობების შესატყობინებლად, რომელშიც ის იმყოფება (მათ შორის, მმრლ-ის შესაბამისი რეჟიმის და კოდის გააქტიურება);

ე) ნებისმიერმა სადგურმა გამოიყენოს მათ განკარგულებაში არსებული ყველა საშუალება განსაცდელში მყოფი საჰაერო ხომალდის დასახმარებლად;

ვ) განხორციელდეს ამ მუხლის პირველ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით მითითებული ელემენტების ცვლილება, როდესაც გადამცემი სადგური თავად არ იმყოფება განსაცდელში, იმ პირობით, რომ ასეთი ვითარება ხაზგასმით იქნება მითითებული უბედურების შეტყობინებაში.

შენიშვნა 2: სადგური, რომელსაც გადაეცემა შეტყობინება ჩვეულებრივ წარმოადგენს სადგურს, რომელიც კავშირზეა საჰაერო ხომალდთან ან სადგურთან, რომლის პასუხისმგებლობის რაიონში მიმდინარეობს აღნიშნული საჰაერო ხომალდის ფრენა.

მუხლი 64. სადგურის მოქმედებები, რომელიც არის უბედურების შეტყობინების ადრესატი ან პირველი ადასტურებს უბედურების შეტყობინების მიღებას

1. სადგური, რომელსაც განსაცდელში მყოფი საჰაერო ხომალდი გადასცემს უბედურების შეტყობინებას ან რომელიც პირველი ადასტურებს ამ შეტყობინების მიღებას, ვალდებულია:

ა) დაუყოვნებლივ დაადასტუროს უბედურების შეტყობინების მიღება;

ბ) საკუთარ თავზე აიღოს კავშირის მართვა ან კონკრეტული და მკაფიო ფორმით გადასცეს ეს პასუხისმგებლობა სხვა სადგურს, აცნობოს რა საჰაერო ხომალდს პასუხისმგებლობის გადაცემის შესახებ;

გ) მიიღოს დაუყოვნებელი ზომები, რათა რაც შეიძლება სწრაფად გადასცეს ყველა აუცილებელი ინფორმაცია:

გ.ა) სმმ-ს შესაბამის ორგანოს;

გ.ბ) საჰაერო ხომალდის შესაბამის საფრენოსნო-საექსპლუატაციო სააგენტოს ან მის წარმომადგენელს, წინასწარ მიღწეული შეთანხმების შესაბამისად;

შენიშვნა: საჰაერო ხომალდის შესაბამისი საფრენოსნო-საექსპლუატაციო სააგენტოს შეტყობინების შესახებ მოთხოვნას არ გააჩნია ისეთივე უპირატესობა, როგორც განსაცდელში მყოფი საჰაერო ხომალდის ან აღნიშნულ რაიონში მყოფი სხვა საჰაერო ხომალდების უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ ქმედებას ან რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ამ რაიონში მოსალოდნელი ფრენების შესრულებაზე.

დ) აუცილებლობისას, აცნობოს სხვა სადგურებს, რათა არ მოხდეს საჰაერო მოძრაობის გადაყვანა ავარიული კავშირის სიხშირეზე.

მუხლი 65. რადიოდუმლის შემოღება

1. განსაცდელში მყოფი სადგური ან სადგური, რომელიც ახორციელებს ავარიული გადაცემების მართვას, უფლებამოსილია შემოიღოს რადიოდუმლი აღნიშნულ რაიონში არსებული მოძრავი სამსახურის ყველა სადგურისათვის ან ნებისმიერი სადგურისთვის, რომელიც ერევა ავარიულ გადაცემებში. მსგავსი სადგური ამ მითითებებს აძლევს „ყველა სადგურს“ ან მხოლოდ ერთ სადგურს, ვითარებაზე დამოკიდებულებით.
 - ა) შეწყვიტეთ გადაცემა;
 - ბ) უბედურების რადიოსატელეფონო სიგნალი MAYDAY.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით მითითებული სიგნალების გამოყენება რეზერვირდება განსაცდელში მყოფი საბორტო სადგურის მიერ და სადგურის მიერ, რომელიც ახორციელებს ავარიული გადაცემების მართვას.

მუხლი 66. ყველა სხვა სადგურის მოქმედება

1. ავარიულ გადაცემებს გააჩნია უპირობო პრიორიტეტი ყველა სხვა გადაცემასთან მიმართებით და სადგური, რომლისთვისაც ცნობილია ასეთი გადაცემების შესახებ, არ ახორციელებს გადაცემებს აღნიშნულ სიხშირეზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:
 - ა) განსაცდელის ჟამი გაუქმებულია ან ავარიული გადაცემები შეწყვეტილია;
 - ბ) ყველა ავარიული გადაცემა გადატანილია სხვა სიხშირეზე;
 - გ) სადგური, რომელიც ახორციელებს გადაცემების მართვას, იძლევა ნებართვას;
 - დ) მან თავად უნდა გაუწიოს დახმარება.
2. ნებისმიერი სადგური, რომლისთვისაც ცნობილი ხდება ავარიული გადაცემების შესახებ და რომელსაც არ შეუძლია განსაცდელში მყოფი სადგურის დახმარება, მაინც განაგრძობს ამ გადაცემების მოსმენას მანამ, სანამ ცხადი არ გახდება, რომ განსაცდელში მყოფ საჰაერო ხომალდს უწევს დახმარებას.

მუხლი 67. ავარიული გადაცემების შეწყვეტა და რადიოდუმლის დამთავრება

1. იმ შემთხვევაში, როდესაც სხ აღარ იმყოფება განსაცდელში, იგი იძლევა შეტყობინებას, რომელიც აუქმებს უბედურების მდგომარეობას.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც სადგურისათვის, რომელიც ახორციელებს ავარიული გადაცემების მართვას, ცნობილი ხდება, რომ სხ ადარ იმყოფება ავარიულ ვითარებაში, იგი მიმართავს დაუყოვნებელ ზომებს, რათა აღნიშნული შეძლებისდაგვარად სწრაფად აცნობოს:
 - ა) სმმ-ს შესაბამის ორგანოს;
 - ბ) საჰაერო ხომალდის საფრენოსნო-საექსპლუატაციო სააგენტოს ან მის წარმომადგენელს, წინასწარ მიღწეული შეთანხმების შესაბამისად.
3. ავარიული გადაცემები და რადიოდუმილი წყდება ავარიული გადაცემების სიხშირეზე (სიხშირეებზე) შეტყობინების გადაცემით, რომელიც მოიცავს ფრაზას „ავარიული გადაცემები შეწყვეტილია“ („DISTRESS TRAFFIC ENDED“). ამ შეტყობინებას ადგენს მხოლოდ იმ სადგური, რომელიც ახორციელებდა კავშირის მართვას, როდესაც ამ მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად მიიღებს შეტყობინებას, მას ნებართვა ეძლევა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

თავი XI. სასწრაფო რადიოსატელეფონო კავშირი

მუხლი 68. საჰაერო ხომალდის მოქმედებები, რომელიც იტყობინება გადაუდებელ მდგომარეობას

1. შეტყობინება, რომელსაც გადასცემს საჰაერო ხომალდი გადაუდებელი მდგომარეობის შესახებ, გარდა იმისა, რომ წინ უსწრებს გადაუდებლობის რადიოსატელეფონო სიგნალი PAN PAN, რომელიც სასურველია გამეორდეს სამჯერ და ყოველი სიტყვა წარმოითქმის როგორც ფრანგული „panne“, უნდა:

ა) გადაიცეს მოცემული დროისთვის გამოყენებული ორმხრივი კავშირის „ჰაერი-მიწა“ სიხშირეზე;

ბ) მოიცვას შემდეგი მაქსიმალურად მოთხოვნილი რაოდენობის ელემენტი, რომელიც წარმოითქმის გარკვევით და, შემდგომში დაგვარად, შემდეგი თანამიმდევრობით:

ბ.ა) სადგური, რომელსაც გადაეცემა შეტყობინება;

ბ.ბ) საჰაერო ხომალდის ამოსაცნობი ინდექსი;

ბ.გ) გადაუდებლობის მდგომარეობის სახე;

ბ.დ) საჰაერო ხომალდის მეთაურის განზრახვა;

ბ.ე) საჰაერო ხომალდის მიმდინარე ადგილმდებარეობა, დონე (ანუ ფრენის ეშელონი, აბსოლუტური სიმაღლე და ა.შ. იმაზე დამოკიდებულებით, თუ რომელია უფრო შესაფერისი) და კურსი;

ბ.ვ) სხვა ნებისმიერი სასარგებლო ინფორმაცია.

შენიშვნა 1: ამ მუხლის მოთხოვნები არ კრძალავს საჰაერო ხომალდმა გაგზავნოს სასწრაფო შეტყობინება მაუწყებლობის ფორმატში, თუ დროისა და ვითარების გათვალისწინებით მსგავსი მოქმედება უფრო მიზანშეწონილია.

შენიშვნა 2: სადგური, რომელსაც გადაეცემა სასწრაფო შეტყობინება, ჩვეულებრივ წარმოადგენს სადგურს, რომელიც კავშირზეა საჰაერო ხომალდთან ან სადგურს, რომლის პასუხისმგებლობის ქვეშ იმყოფება რაიონი, სადაც მიმდინარებს აღნიშნული საჰაერო ხომალდის ფრენა.

მუხლი 69. სადგურის მოქმედებები, რომელიც არის სასწრაფო შეტყობინების ადრესატი ან პირველი ადასტურებს სასწრაფო შეტყობინების მიღებას

1. სადგური, რომელსაც საჰაერო ხომალდი გადასცემს შეტყობინებას გადაუდებლობის მდგომარეობის შესახებ ან რომელიც პირველი ადასტურებს ამ შეტყობინების მიღებას, ვალდებულია:

ა) დაადასტუროს სასწრაფო შეტყობინების მიღება;

ბ) მიიღოს დაუყოვნებელი ზომები სრული საჭირო ინფორმაციის უსწრაფესად გადასაცემად:

ბ.ა) სმმ-ს შესაბამის ორგანოს;

ბ.ბ) საჰაერო ხომალდის შესაბამის საფრენოსნო-საექსპლუატაციო სააგენტოს ან მის წარმომადგენელს, მიღწეული შეთანხმების შესაბამისად;

შენიშვნა: საჰაერო ხომალდის შესაბამისი საფრენოსნო-საექსპლუატაციო სააგენტოს შეტყობინების შესახებ მოთხოვნას არ გააჩნია ისეთივე უპირატესობა, როგორც განსაცდელში მყოფი საჰაერო ხომალდის ან აღნიშნულ რაიონში მყოფი სხვა საჰაერო ხომალდების უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ ქმედებას ან რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ამ რაიონში მოსალოდნელი ფრენების შესრულებაზე.

გ) აუცილებლობისას, განახორციელოს კავშირის მართვა.

მუხლი 70. ყველა სხვა სადგურის მოქმედება

სასწრაფო კავშირს გააჩნია პრიორიტეტი ყველა სხვა გადაცემასთან მიმართებით, გარდა ავარიულისა და ყველა სადგურმა უნდა მიმართოს ზომებს, ხელი არ შეუშალოს სასწრაფო გადაცემას.

მუხლი 71. სამედიცინო დანიშნულებით გამოყენებული საჰაერო ხომალდის მოქმედებები

1. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სიგნალით სარგებლობა მიუთითებს, რომ მის შემდეგ გადაიცემა შეტყობინება დაცული სამედიცინო ტრანსპორტის შესახებ, ჟენევის 1949 წლის კონვენციის და დამატებითი ოქმების შესაბამისად.
2. სამედიცინო ტრანსპორტის შეტყობინებისა და ამოცნობის მიზნით, რადიოსატელეფონო სიგნალს PAN PAN, რომელიც სასურველია გამეორდეს სამჯერ და რომლის ყოველი სიტყვა წარმოითქმის როგორც ფრანგული „panne“, მოსდევს სამედიცინო ტრანსპორტის რადიოსატელეფონო სიგნალი MAY-DEE-CAL, რომელიც წარმოითქმის როგორც ფრანგული „medical“. ზემოთ განხილული სიგნალების გამოყენება მიუთითებს, რომ მომდევნო შეტყობინება შეეხება სამედიცინო ტრანსპორტს. აღნიშნული შეტყობინება მოიცავს შემდეგ მონაცემებს:
 - ა) სამედიცინო ტრანსპორტის მოსახმობი ან მისი ამოცნობის სხვა საშუალებები;
 - ბ) სამედიცინო ტრანსპორტის ადგილმდებარეობა;
 - გ) სამედიცინო ტრანსპორტის ნომერი და ტიპი;
 - დ) დაგეგმილი მარშრუტი;
 - ე) მარშრუტზე ფრენის, მოფრენის და გაფრენის გაანგარიშებული დრო, მიზანშეწონილობის შესაბამისად; და
 - ვ) ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, კერძოდ: ფრენის სიმაღლე, დაცული რადიოსიხშირეები, გადაცემების წარმართვის ენა და მეორეული მიმოხილვითი რადიოლოკატორის რეჟიმები და კოდები.


მუხლი 72. სადგურის მოქმედებები, რომელსაც ეგზავნება შეტყობინება სამედიცინო ტრანსპორტის შესახებ ან რომელიც პირველად იღებს აღნიშნულ შეტყობინებას

70-ე და 71-ე მუხლების მოთხოვნები, მიზანშეწონილობის მიხედვით, ვრცელდება სადგურზე, რომელიც იღებს სამედიცინო ტრანსპორტის შეტყობინებას.

თავი XII. მეტეოროლოგიური ინფორმაციის და აეროდრომის სხვა ინფორმაციის გადაცემა


მუხლი 73. ზოგადი დებულება


1. მეტეოროლოგიური ინფორმაცია შეტყობინების, პროგნოზის ან გაფრთხილების ფორმით მიეწოდება პილოტებს, რომლებიც სარგებლობენ სააერნაოსნო მობილური მომსახურებით ან ეცნობება მაუწყებლობით (მაგ., VOLMET) ან სახმელეთო პერსონალის სპეციალური გადაცემების საშუალებით. ამასთან საჭიროა სპეციალური მეტეოროლოგიური შემოკლებებითა და ტერმინებით სარგებლობა, ხოლო ინფორმაცია უნდა გადაიცეს ნელა და გარკვევით, რათა მიმღებმა, აუცილებლობის შემთხვევაში შეძლოს ამ მონაცემების ჩაწერა.

	4L-BC WALDEN TOWER PRESENT WEATHER WIND 360 DEGREES 5 KNOTS VISIBILITY 20 KILOMETRES FEW CLOUDS 2 500 FEET QNH 1008		QNH 1008 4L-BC
	GEORGIAN 620 MESTIA WIND 360 DEGREES 25 KNOTS VISIBILITY 1 000 METRES CONTINUOUS MODERATE RAIN OVERCAST 600 FEET QNH 1001		GEORGIAN 620 QNH 1001 REQUEST TEMPERATURE
	GEORGIAN 620 TEMPERATURE 7		GEORGIAN 620

მუხლი 74. ხილვადობის სიშორე ადზ-ზე (RVR)


1. შეტყობინება ადზ-ზე ხილვადობის სიშორის შესახებ საჭიროა გადაიცეს ფრაზით „RUNWAY VISUAL RANGE“ ან შემოკლებით „RVR“, რასაც მოსდევს ადზ-ს ნომერი, აუცილებლობისას, RVR-ის მნიშვნელობისა (მნიშვნელობებისა) და გაზომვის რამდენიმე ადგილის მითითებით.
2. ადზ-ზე ხილვადობის სიშორის რამდენიმე მონაცემის არსებობისას, მათი გადაცემა ყოველთვის იწყება დაფრენის არეს მონაცემებით.

	GEORGIAN 620 RVR RUNWAY 27 TOUCHDOWN 650 METRES MIDPOINT 700 METRES STOP END 600 METRES		ROGER GEORGIAN 620
---	---	---	--------------------



მუხლი 75. ადზ-ს ზედაპირის მდგომარეობა


1. პილოტების შეტყობინება შეიძლება რეტრანსლირებულ იქნეს მეთვალყურის მიერ, თუ ეს ინფორმაცია შესაძლოა სასარგებლო იყოს სხვა სხ-თვის: „BRAKING ACTION REPORTED BY (aircraft type) AT (time) (assessment of braking action)“.
2. თუ მეთვალყურე სავალდებულოდ ჩათვლის აცნობოს სხ-ს ადზ-ზე წყლის არსებობა, მაშინ იგი ადზ-ზე წყლის რაოდენობის შესაბამისად, გადასცემს შემდეგ ტერმინებს: „DAMP“, „WET“, „WATER PATCHES“, ან „FLOODED“.
3. ადზ-ს ზედაპირის მდგომარეობის შესახებ პილოტისათვის აუცილებელი სხვა მონაცემები გადაიცემა შესაბამის დროს.



თავი XIII. ფრენების სხვადასხვა სახის მომსახურება

მუხლი 76. შერჩევითი გამოძახება (SELCAL)

1. SELCAL წარმოადგენს სისტემას, სადაც სამეტყველო კავშირი იცვლება კოდირებული ტონალური სიგნალების გადაცემით გამოყენებულ სიხშირეზე. SELCAL-ის მინიჭებული კოდის მიღება იწვევს საფრენოსნო ეკიპაჟის კაბინაში გამოძახების სისტემის ამოქმედებას და პილოტი უკვე აღარ საჭიროებს სიხშირეების მუდმივ მოსმენას. შერჩევითი გამოძახების (SELCAL) წესები დეტალურადაა აღწერილი მე-10 დანართის მე-2 ტომით.
2. თუ ფრენის განმავლობაში სავარაუდოა SELCAL-ის კოდის გამოყენება, მაშინ SELCAL-ის კოდი უნდა მიეთითოს ფრენის გეგმაში. თუმცა, თუ არსებობს ეჭვი, რომ სახმელეთო სადგურს არ გააჩნია მონაცემები, მაშინ პილოტი საწყისი გამოძახებისას გადასცემს საჰაერო ხომალდის SELCAL-ის კოდს, ფრაზით „SELCAL (კოდის ნომერი)“. იმ შემთხვევაში, როდესაც SELCAL-ის მოწყობილობა გაუმართავია ან გამოდის მწყობრიდან, აუცილებელია „INOPERATIVE SELCAL“ ფრაზის გამოყენება.
3. SELCAL-ის ნებისმიერი საჭირო შემოწმება უნდა განხორციელდეს „REQUEST SELCAL CHECK“ ფრაზის გამოყენებით. შესაბამისი კოდისა და ტონალური სიგნალის მიღება უნდა დადასტურდეს ფრაზით „SELCAL OK“.
4. იმ შემთხვევაში, როდესაც კოდირებული სიგნალი სუსტია ან არ შეუძლია ეკიპაჟის კაბინაში გამოძახების სისტემის ამოქმედება, პილოტმა აღნიშნულზე უნდა აცნობოს მეთვალყურეს, ფრაზით „NEGATIVE SELCAL, TRY AGAIN“.



მუხლი 77. საწვავის ავარიული ჩამოსხმა

იმ შემთხვევაში, როდესაც საჰაერო ხომალდი სმმ-ს ორგანოს აცნობებს საწვავის ავარიული ჩამოსხმის განზრახვას, სმმ-ს ეს ორგანო საფრენოსნო ეკიპაჟთან ათანხმებს ფრენის მარშრუტს, სიმაღლეს და საწვავის ავარიული ჩამოსხმის ხანგრძლივობას. სხვა ცნობილი საჰაერო ხომალდების ეშელონირება ხდება იმ საჰაერო ხომალდის მიმართ, რომელიც ახორციელებს საწვავის ჩამოსხმას, ეშელონირების დადგენილი მინიმუმით. არაკონტროლირებად საჰაერო ხომალდებს რადიოკავშირის მეშვეობით გადაეცემა გაფრთხილება.




ALL STATIONS TBILISI CONTROL B777 DUMPING FUEL FL 90
BEGINNING 10 MILES SOUTH OF BATUMI ON TRACK 180 FOR 50
MILES. AVOID FLIGHT BETWEEN FL 60 AND FL 100 WITHIN 50
MILES BEHIND, 10 MILES AHEAD OF THE AIRCRAFT AND WITHIN
10 NM TO THE SIDES OF FUEL DUMPING TRACK

ALL STATIONS TBILISI CONTROL
FUEL DUMPING COMPLETED

მუხლი 78. კვალზე ტურბულენტურობა

იმ შემთხვევაში, როდესაც სავარაუდოა ან ცნობილია კვალზე ტურბულენტურობის შესახებ, სმმ-ს ორგანო შესაბამისად ატყობინებს საჰაერო ხომალდებს.



4L-BC EXTEND DOWNWIND DUE
WAKE TURBULENCE B757 LANDING
AHEAD

4L-BC HOLD POSITION DUE
WAKE TURBULENCE AIRBUS
DEPARTING AHEAD




EXTENDING DOWNWIND, 4L-BC

HOLDING 4L-BC

მუხლი 79. ქარძვრა

1. თუ მოსალოდნელია ან, თუ სხ იძლევა ცნობას ქარძვრის შესახებ, სამეთვალყურეო მომსახურების ორგანო აღნიშნულზე აფრთხილებს სხვა სხ-ებს მანამ, სანამ სხ-ები არ აცნობებენ ამ მოვლენის შეწყვეტას.



GEORGIAN 620 CAUTION MEDIUM
WIND SHEAR REPORTED AT 800 FEET
3 MILES FINAL RUNWAY 27



ROGER GEORGIAN 620

მუხლი 80. რადიოპელენგი

1. პილოტს, მომსახურების საჭირო სახის მისათითებლად, შესაბამისი ფრაზის გამოყენებით შეუძლია მოითხოვოს პელენგი ან კურსი. გადაცემა მთავრდება სხ-ს მოსახმობით. სარადიოპელენგატორო სადგური პასუხობს შემდეგი ფორმით:


ა) შესაბამისი ფრაზა;

ბ) პელენგი ან კურსი გრადუსებში, სარადიოპელენგატორო სადგურთან მიმართებით.

4L-BC MESTIA TOWER
HEADING TO MESTIA
090 DEGREES CLASS A



MESTIA TOWER 4L-ABC
REQUEST HEADING TO
MESTIA

	CLASS A 090 4L-BC
	MESTIA TOWER 4L-ABC REQUEST QDM
	CLASS A 090 4L-BC
4L-BC MESTIA TOWER QDM 090 DEGREES CLASS A	

მუხლი 81. ფრაზეოლოგია 8,33 კჰც სიხშირული ბადით სარგებლობისას

1. სხ-ს ეკიპაჟები, რომლებიც ფრენებს ახორციელებენ 8,33 კჰც სიხშირული ბადის საჰაერო სივრცეში, სარგებლობენ შემდეგი ფრაზეოლოგიით:

მდგომარეობა	ფრაზეოლოგია
მუშაობს თუ არა რადიომოწყობილობა 8,33 კჰც სიხშირულ ბადეში	* პილოტის მიერ განხორციელებული კავშირი ADVISE EIGHT POINT THREE THREE EQUIPPED *AFFIRM EIGHT POINT THREE THREE
შეტყობინება ბორტზე 8,33 კჰც სიხშირულ ბადეში მომუშავე რადიომოწყობილობის არსებობის შესახებ	*NEGATIVE EIGHT POINT THREE THREE
შეტყობინება ბორტზე 8,33 კჰც სიხშირულ ბადეში მომუშავე რადიომოწყობილობის არარსებობის შესახებ	*UHF EQUIPPED
შეტყობინება ბორტზე UHF-კავშირის რადიომოწყობილობის არსებობის შესახებ	ADVISE EIGHT POINT THREE THREE EXEMPTION STATUS
გათავისუფლებულია თუ არა საბორტო რადიომოწყობილობა 8,33 კჰც სიხშირულ ბადეში მუშაობის მოთხოვნებიდან	(aircraft call sign) EXEMPTED EIGHT POINT THREE THREE
საბორტო რადიომოწყობილობის 8,33 კჰც სიხშირულ ბადეში მუშაობის მოთხოვნებიდან განთავისუფლების შეტყობინება	(clearance / instruction) DUE EIGHT POINT THREE THREE REQUIREMENT a) CONFIRM EIGHT POINT THREE THREE CHANNEL (name) b) * AFFIRM EIGHT POINT THREE THREE CHANNEL (name)
გარკვეული სამეთვალყურეო ნებართვის გაცემის შეტყობინება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი რადიოსისტემებით აღჭურვავი სხ შვეა იმ საჰაერო სივრცეში, სადაც აუცილებელია აღნიშნული რადიოსისტემების არსებობა სხ-ზე	
პილოტის მოთხოვნა 8,33 კჰც სიხშირულ ბადეში	a) CONTACT (unit call sign) CHANNEL (name) b) AT (or OVER) (time or place) CONTACT (unit call sign) CHANNEL (name) c) IF NO CONTACT (Instructions) d) STAND BY CHANNEL (name) FOR (unit call sign) e*) REQUEST CHANGE TO CHANNEL (name) f) CHANNEL CHANGE APPROVED g) MONITOR(unit call sign)CHANNEL(name) h*) MONITORING CHANNEL(name) i) WHEN READY CONTACT(unit call sign) CHANNEL(name) j) REMAIN THIS CHANNEL

მუხლი 82. ფრაზეოლოგია ზონალური ნაოსნობის სისტემით ფრენისას

- სხ-ს ეკიპაჟი, რომელმაც ფრენის გეგმა შეავსო ზონალური ნაოსნობის (RNAV) გამოქვეყნებული მარშრუტით, იღებს შესაბამის ნებართვებს. სმმ-ს ორგანოებს შეუძლიათ განსაზღვრონ RNAV-ის გამოქვეყნებული მარშრუტი პილოტის მოთხოვნით.
- სმმ-ს ორგანოებს შეუძლიათ განსაზღვრონ RNAV-ის გამოქვეყნებული მარშრუტი ან ინდივიდუალური სწორხაზოვანი მარშრუტი, თუ სხ აღჭურვილია RNAV-ის საშუალებებით.



GEO-620, ARE YOU ABLE TO
PROCEED RNAV?

- საყურადღებოა, რომ RNAV-ზე დაფუძნებული ინდივიდუალური სწორხაზოვანი მარშრუტით ჰორიზონტალური სანაოსნო ეშელონირებისას ცდომილებამ შეიძლება შეადგინოს 5 საზღვაო მილი.
- შესაძლებელია პარალელური გადახვევის მარშრუტის დადგენა პილოტის მოთხოვნით, თუ პილოტი ადასტურებს, რომ სხ აღჭურვილია შესაბამისად.



GEO-620, ADVISE IF ABLE TO
PROCEED PARALLEL OFFSET?

GEO-620, PROCEED OFFSET 10 MILES
RIGHT OF CENTRELINE FROM DF
UNTIL LOBIN



GEO-620, AFFIRM

GEO-620, ROGER

- პარალელური გადახვევის მარშრუტის განსაზღვრისას, მინიმალური დაცილება საკმარისი უნდა იყოს, რათა მეთვალყურეს საშუალება მიეცეს დაამყაროს მითითებული მინიმალური ეშელონირება მითითებული რადიოლოკაციური ეშელონირების მინიმუმთან მიმართებით, საჰაერო სივრცის საზღვრიდან. აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ჰორიზონტალური სანაოსნო ეშელონირებისას, ცდომილებამ შეიძლება შეადგინოს 5 საზღვაო მილი.
- მითითებები პარალელური მარშრუტის შესახებ შეიძლება გაუქმდეს, როდესაც იხსნება მათი შესრულების აუცილებლობა.



GEO-620, CANCEL OFFSET, RESUME
ORIGINAL TRACK VIA M 747




GEO-620, WILCP

მუხლი 83. მანევრი შეჯახების გასაფრთხილებელი საბორტო სისტემის გამოყენებით (ACAS)

- იმ შემთხვევაში, როდესაც პილოტი იტყობინება მანევრის შესრულებას ACAS-სისტემის შეჯახების საფრთხის აღმოფხვრის რეკომენდაციის (RA) შესაბამისად, მეთვალყურე არ მიმართავს მცდელობას შეცვალოს საჰაერო ხომალდის ფრენის ტრაექტორია, სანამ პილოტი არ მოახსენებს მოქმედი სამეთვალყურეო ნებართვის ან მითითებების პირობებში ფრენის განახლებას, მაგრამ მეთვალყურე საჭიროების შესაბამისად გადასცემს ინფორმაციას მოძრაობის შესახებ.

2. მას შემდეგ, რაც საჰაერო ხომალდი შეჯახების საფრთხის აღმოფხვრის რეკომენდაციის (RA) შესაბამისად წყვეტს სამეთვალყურეო ნებართვის შესრულებას, მეთვალყურე მეტად აღარ არის პასუხისმგებელი აღნიშნულ საჰაერო ხომალდსა და სხვა საჰაერო ხომალდებს შორის ეშელონირების უზრუნველყოფაზე, რომელთა ფრენებზე შესაძლოა უშუალო გავლენა იქონიოს შეჯახების საფრთხის აღმოფხვრის რეკომენდაციის (RA) შესაბამისად განხორციელებულმა მანევრმა. მეთვალყურე მას შემდეგ იღებს სიახლოვეს მყოფი საჰაერო ხომალდების ეშელონირებაზე პასუხისმგებლობას, რაც დაადასტურებს საფრენოსნო ეკიპაჟის შეტყობინების მიღებას, რომ საჰაერო ხომალდმა განაახლა ფრენა მოქმედი სამეთვალყურეო ნებართვის შესაბამისად ან მას შემდეგ, რაც მეთვალყურე დაადასტურებს საფრენოსნო ეკიპაჟის შეტყობინების მიღებას, რომ საჰაერო ხომალდი იწყებს მოქმედი სამეთვალყურეო ნებართვის მიხედვით ფრენის განახლებას და გადასცემს ალტერნატიულ ნებართვას, რომლის მიღებასაც ადასტურებს საფრენოსნო ეკიპაჟი.

	GEORGIAN 620 ROGER REPORT RETURNING TO CLEARANCE		GEORGIAN 620 TCAS RA
	TBILISI CONTROL ROGER		GEORGIAN 620 CLEAR OF CONFLICT RETURNING TO CLEARANCE, NOW MAINTAINING FL 350
	GEORGIAN 620 CLIMB TO FL 350		
	GEORGIAN 620 TBILISI CONTROL ROGER REPORT MAINTAINING FL 310		GEORGIAN 620 UNABLE, TCAS RA
	TBILISI CONTROL ROGER		GEORGIAN 620 CLEAR OF CONFLICT FL 310 RESUMED

მუხლი 84. ფრაზეოლოგია ვერტიკალური ეშელონირების შემცირებული მინიმუმებით (RVSM) სარგებლობისას

მდგომარეობა	ფრაზა
მეთვალყურის შეკითხვა RVSM-ით ფრენის ნებართვის არსებობის დასადასტურებლად. პილოტის მიერ RVSM-ით ფრენის ნებართვის უქონლობის გადასაცემად: 1. პირველი გამოძახებისას ნებისმიერ სიხშირეზე ევროპული რეგიონის RVSM-ის საჰაერო სივრცის ფარგლებში (სმმ-ს მეთვალყურე ამავე ფრაზით ახორციელებს უკუგადაცემას). 2. ფრენის ეშელონის შეცვლაზე ყოველი მოთხოვნისას, რომელიც შეეხება ევროპული რეგიონის RVSM-ის საჰაერო სივრცეში ფრენის ეშელონებს, 3. სამეთვალყურეო ნებართვების ყოველ უკუგადაცემაში, რომელიც შეეხება ევროპული რეგიონის RVSM-ის საჰაერო სივრცეში ფრენის ეშელონების დაკავებას. გარდა ამისა, სახელმწიფო სტატუსის არმქონე სხ-ების პილოტებმა უნდა ჩაურთონ ფრაზა ვერტიკალური გადაკვეთით 290, ან 410 ფრენის ეშელონის დაკავებაზე სამეთვალყურეო ნებართვის უკუგადაცემაში ასევე, მეთვალყურის მიერ „მიწა-მიწა“ სამეტყველო კავშირით დამატებით სხ-ის სტატუსის შესახებ, რომლებიც დაშვებულნი არ არიან RVSM-ით ფრენებზე. პილოტის მიერ RVSM-ით ფრენის ნებართვის ქონის შეტყობინების გადაცემისას სახელმწიფო სხ-ს (რომელიც დამტკიცებული არ არის RVSM-ით ფრენებზე) პილოტის მიერ საკუთარი სტატუსის შესატყობინებლად, რომ	CONFIRM RVSM APPROVED **NEGATIVE RVSM *AFFIRM RVSM **NEGATIVE RVSM STATE AIRCRAFT

დამტკიცებული არ არის RVSM-ით ფრენებზე. ეს არის პილოტის პასუხი მეთვალყურის შეკითხვაზე: CONFIRM RVSM APPROVED.	
ასევე, მეთვალყურის მიერ «მიწა-მიწა» სამეტყველო კავშირით დამატებით სხ-ს სტატუსის შესახებ, რომლებიც დაშვებულნი არ არიან RVSM-ით ფრენებზე.	
უარი ევროპული რეგიონის RVSM-ის საჰაერო სივრცეში შესვლის სამეთვალყურეო ნებართვის გაცემაზე	UNABLE CLEARANCE INTO RVSM AIRSPACE, MAINTAIN (or) DESCEND, (or) CLIMB FL
პილოტის მიერ ძლიერი ტურბულენტურობის არსებობის შესახებ შეტყობინების გადასაცემად, რაც გავლენას ახდენს RVSM-ის ნებადართული ფრენის ეშელონის შენარჩუნებაზე.	**UNABLE RVSM DUE TURBULENCE
ასევე, მეთვალყურის მიერ „მიწა-მიწა“ სამეტყველო კავშირით საგანგებო ვითარებების წარმოქმნის მიზეზების შესატყობინებლად, რაც დაკავშირებულია სხ-ს მიერ RVSM-ით ფრენის შესრულების შეუძლებლობასთან ძლიერი ტურბულენტურობის ან სხვა რთული ამინდის პირობების გამო.	
პილოტის მიერ შეტყობინების გადასაცემად საბორტო მოწყობილობების მუშაობის გაუარესების შესახებ, სხ-ს სისტემებისადმი წაყენებული მინიმალური მოთხოვნების (MASPS) დონეზე ქვემოთ, რაც მოითხოვება ევროპული რეგიონის RVSM-ის საჰაერო სივრცის ფარგლებში.	**UNABLE RVSM DUE EQUIPMENT
ამ ფრაზით სარგებლობენ MASPS-ის შეუსაბამობის შესახებ პირველი შეტყობინების გადასაცემად, ხოლო შემდეგ პირველი კავშირისას ყველა სიხშირეზე ევროპული რეგიონის RVSM-ის საჰაერო სივრცის ფარგლებს გარეთ პრობლემის აღმოფხვრამდე ან სხ-ს გასვლამდე ევროპული რეგიონის საჰაერო სივრცეიდან.	
ასევე, მეთვალყურის მიერ „მიწა-მიწა“ სამეტყველო კავშირით საგანგებო ვითარებების წარმოქმნის მიზეზების შესატყობინებლად, რაც დაკავშირებულია სხ-ს მიერ RVSM-ით ფრენის შესრულების შეუძლებლობასთან, მოწყობილობის მტყუნების გამო.	*READY TO RESUME RVSM
პილოტის მიერ შეტყობინების გადასაცემად საკუთარი შესაძლებლობების შესახებ, განაახლოს ფრენა ევროპული რეგიონის RVSM-ის საჰაერო სივრცეში საგანგებო ვითარების დასრულებისას, რაც გამოწვეული იყო მოწყობილობის მტყუნების ან ამინდის პირობების გამო.	
მეთვალყურის შეკითხვა სხ-ს შესაძლებლობის განახლების შესახებ შეასრულოს ფრენა RVSM-ით.	REPORT ABLE TO RESUME RVSM
შენიშვნა: აღნიშვნები: * - კავშირი მყარდება პილოტის მიერ; ** - კავშირი მყარდება პილოტის მიერ; ასევე მეთვალყურის მიერ დამატებით ზეპირი შეტყობინებისათვის სმმ-ს მოსაზღვრე ორგანოებთან კოორდინაციისათვის.	

მუხლი 85. მართლსაწინააღმდეგო ქმედობა

სადგური, რომელსაც მიმართავს საჰაერო ხომალდი, რომელიც წარმოადგენს უკანონო ჩარევის ობიექტს ან სადგური, რომელიც პირველი პასუხობს ამ საჰაერო ხომალდს, ვალდებულია გაუწიოს ნებისმიერი შესაძლო დახმარება, მათ შორის, აცნობოს სმმ-ს შესაბამის ორგანოს, ასევე სხვა ნებისმიერ სადგურს, ან პირს, რომელსაც შეუძლია დახმარების აღმოჩენა ფრენის განხორციელებაში.